



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1669  
12/09/2018

ქალაქი ბათუმი

1669-05-4-201809121420



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებზე ობიექტთა მიკუთვნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი ქურიძის 2018 წლის 07 სექტემბრის №2606-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **გბრძანებ:**

1. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი სპეციალისტის როსტომ ვარშანიძის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა:

- 1.1. სოფელ თხილნარის მეურნეობაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;
- 1.2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შარაბიძეებში არსებული დაწყებითი სკოლის რეაბილიტაცია;
- 1.3. სოციალური სახლის მშენებლობა;
- 1.4. საავტომობილო გზა ბათუმი-ხულო ახალციხის მე-16 კილომეტრში (სოფელ აჭარისწყლის ცენტრი) მდინარე აჭარისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- 1.5. სოფელ ოლთაბათუმში საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- 1.6. სოფელ ახალსოფელში სასმელი წყლის წყალსადენისა და მაგისტრალის მოწყობა;
- 1.7. სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის წყლის აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობა;
- 1.8. სოფელ სარფში არსებული წყალსადენის სათავე ნაგებობისა დამაგისტრალის მოწყობის სამუშაოები.

2. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი სპეციალისტის დავით ვარშანიძის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა:

- 2.1. ქვედა ჯოჭოს წყალსადენის რეაბილიტაცია;

- 2.2. სოფელ ახალშენში მიქელაძეების დასახლებაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;
- 2.3. სოფელ წინსვლაში სახლი №51 -ის სახურავის მოწყობა;
- 2.4. სოფელ შარაბიძეებში ჯიჯავაძე ალიოსმანის სახლიდან გოჩა ქათამაძის სახლის მიმართულებით გზის დაბეტონება;
- 2.5. სოციალური სახლის მშენებლობა;
- 2.6. სოფელ ქედქედი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- 2.7. ამხანაგობების პროგრამები;
- 2.8. სოფელ ქვედა კაპრეშუმში არსებული სასმელი წყლის რეზერვუარისა და მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- 2.9. ახალშენის კულტურის სახლის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის სარემონტო სამუშაოების მეორე ეტაპი;
- 2.10. სოფელ ახალშენში ავღანისტანის დასახლებაში 950 გრძ/მ. შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია, სოფელ კაპრეშუმში პოპოვის გზიდან ეკლესიისკენ მიმავალი გზის დაბეტონება, სოფელ ყოროლისთავში კვირიკაძეების დასახლებაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია, სოფელ მურმანეთში (ხულოს ქუჩა) 800 გრძ/მ. გზის დაბეტონება, სოფელ თხილნარის მეურნეობაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

3. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი სპეციალისტის გიორგი მახაჭაძის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა:

- 3.1. სოფელ მარადიდის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- 3.2. სოფელ სალიბაურის სასმელი წყლის აუზის რეაბილიტაცია;
- 3.3. სოფელ ზედა ჭარნალის აუზისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა;
- 3.4. სოფელ განთიადის ჭაბურღილის სისტემიდან შიდა ქსელზე მხეიძეების დასახლების წყალმომარაგებისთვის დამატებითი ქსელის მოწყობა;
- 3.5. სოფელ კიბეში სასმელი წყლის 30 ტონიანი რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა;
- 3.6. სოფელ მნათობში ფერასა და ახალშენის მეურნეობაში სასმელი წყლის მაგისტრალის და რეზერვუარის მოწყობა ქალაქის წყალსადენზე დაერთებით;
- 3.7. ფერდსამაგრი კედლის მოწყობა. სოფ. განთიადში მერაბ ნაგერვადის სახლთან ფერდამცავი კედლის მოწყობა, სოფელ ერგეში გურამ ზაქარაძის სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა, სოფელ ზანაქიძეებში კობა ხინკილაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობის, სოფელ ზანაქიძეებში არსენ ზოიძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობის, სოფელ სამებაში გურამ ბერიძის სახლთან ფერდსამაგრის მოწყობის, სოფელ თხილნარში ზურაბ შარაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობის, სოფელ ერგეში ნანი ბერიძის სახლთან ფერდსამაგრის მოწყობის, სოფელ ფერიაში ჟუჟუნა მახაჭაძის სახლთან ფერდსამაგრის მოწყობის, სოფელ მახოში როსტომ ქოქოლაძის საცხოვრებელ სახლთან მახო-ზანაქედის შემოვლითი გზის ზედა მხარეს საყრდენი კედლის მშენებლობის და სოფელ ორთაბათუმში ციალა მაჭუტაძის სახლთან მისასვლელი სამანქანე გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები;
- 3.8. ფერდსამაგრი კედლების მოწყობა; სოფ. ყოროლისთავში მინერი აბულაძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობის, სოფელ წინსვლაში მცხოვრების დავით წულუკიძის სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობის, სოფელ ზანაქიძეები დავით გურგენიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობის, სოფელ თხილნარში (აგარა) ომარ დუმბაძის სახლთან ფერდსამაგრის მოწყობის, სოფელ განთიადში მოქალაქე ჯემალ წუწუნავას საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობის, სოფელ მახვილაურში მცხოვრები თამილა ირემაძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობისა და სოფელ წინსვლაში ციალა ზოიძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელ სამანქანე გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოებს.

4. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი საჯარო მოსამსახურის, ტექნიკური ზედამხედველის რუსლან დიასამიძის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა:

- 4.1. სოფელ ერგეში წიფლნარას წყალსადენის კაპტაჟების რეაბილიტაცია;
- 4.2. სოფელ მასაურაში (წიქარეული) ძნელაძე ნაგერვაძეების დასახლებაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- 4.3. სოფელ განთიადის (უშაკოვის დასახლება) არსებული რეზერვუარის შიდა ქსელზე 15 ოჯახის წყალმომარაგებისათვის დამატებითი ქსელის მოწყობა;
- 4.4. სოფელ განთიადში გარე განათების რეაბილიტაცია;
- 4.5. მოსაცდელების მოწყობა მუნიციპალიტეტში;
- 4.6. მახოს სტადიონზე ხელოვნური საფარის მოწყობა.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებზე ობიექტთა მიკუთვნების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 აპრილის №733 ბრძანება.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს გიორგი ქურიძეს.

7. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

